სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 დეკემბერი 2025

N 802/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 13 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულია „ქ. ბათუმში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №2-426 ბრძანება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმო განთავსებულია ქალაქ ბათუმში, ჯემალ ქათამაძის ჩიხის №4-ში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.30.17.011; ფართობი: 5029 მ^2), რომლითაც სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინსინერაციის საწარმო ურბანულად მჭიდროდ დასახლებულ ზონაში მდებარეობს, საიდანაც დაახლოებით 40 მეტრში განთავსებულია უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ხოლო დაახლოებით 80 მეტრში – საბავშვო ბაღი. ინსინერაციის საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 190-200 მეტრში შპს „ბათუმი პეტროლიუმი“-ს ნავთობტერმინალი მდებარეობს. საპროექტო მიწის ნაკვეთიდან უახლოესი

ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე ბარცხანა, დაახლოებით 470 მეტრში მიედინება, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლამდე დაშორების მანძილი 550 მეტრს აღემატება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში განთავსებულია 60 კგ/სთ წარმადობის ინსინერატორი, რომლის სამუშაო რეჟიმი წელიწადში 250 დღეს, დღეში 8 საათს შეადგენს. შესაბამისად, წლის განმავლობაში ინსინერატორში გათვალისწინებულია 120 000 კგ სახიფათო ნარჩენის ინსინერაცია. ინსინერატორი მუშაობს ბუნებრივ აირზე, რომლის მაქსიმალური მოხმარება 17 მ³/სთ-ს შეადგენს (წელიწადში 34 000 მ³). ინსინერაციის საწარმოში განადგურებას დაქვემდებარებული ნარჩენები (შეფუთული და ავტოკლავირებული) შედის კონტეინერების საშუალებით, ხოლო ინსინერატორში მათი ჩატვირთვა შეფუთვის გაუხსნელად მიმდინარეობს. ინსინერაციის პროცესის შედეგად წარმოიქმნება წელიწადში 6 000 კგ ნაცარი, რომელიც დროებით თავსდება პოლიეთილენის ტომრებში, ხოლო შემდეგ – სპეციალურ ჰერმეტულ პოლიეთილენის კონტეინერებში და ინსინერაციის საწარმოს შენობაში საწყობდება. ნაცრის სახიფათოობის დადგენის მიზნით, გათვალისწინებულია ლაბორატორიული კვლევა. ლაბორატორიული კვლევის შედეგების საფუძველზე, ნაცარში ტოქსიკური ელემენტების დაბალი შემცველობის დაფიქსირების შემთხვევაში, მისი გატანა და განთავსება გათვალისწინებულია მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო ტოქსიკური ელემენტების მაღალი შემცველობის დაფიქსირების შემთხვევაში, გათვალისწინებულია შემდგომი მართვის მიზნით ნაცრის შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის გადაცემა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ განხორციელდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება. აღნიშნული ცვლილებით დაზუსტდა წარმოქმნილი ნაცრის დროებითი განთავსების და შემდგომი მართვის საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განთავსების ადგილი. კერძოდ, ვინაიდან წვის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის არაერთი ლაბორატორიული კვლევით დადგინდა, რომ მიღებული ნაცარი მაღალი შემცველობის ტოქსიკური ელემენტების მქონეა, იგი სახიფათო ნარჩენად განიხილება (კოდი: 19 01 11*; დასახელება – მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს), ხოლო ნაცრის ლაბორატორიული კვლევების დამატებით ჩატარება მიზანშეწონილობას მოკლებულია. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცარი დროებით თავსდება პოლიეთილენის ტომრებში, შემდგომ – პოლიეთილენის ან/და მეტალის კონტეინერებში და ინსინერაციის საწარმოს შენობაში საწყობდება. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დროისთვის საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ნარჩენის მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანია არ ოპერირებს, ნაცრის ცენტრის ტერიტორიაზე დროებით დასაწყობების საჭიროება მხოლოდ შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობის არარსებობით არის განპირობებული. შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობის შემდეგ, ცენტრის ტერიტორიაზე დროებით განთავსებული ნაცარი დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის კომპანიას. რაც შეეხება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განთავსებას, აღნიშნული ინვენტარი ნაცვლად ინსინერაციის საწარმოს შენობისა, შენობის სიახლოვეს მოეწყობა და სრულად დააკმაყოფილებს უსაფრთხოების მოქმედ ნორმებსა და სტანდარტებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ინსინერაციის საწარმოს ოპერირება მუდმივად 3 თანამშრომლის არსებობას არ მოითხოვს, საჭიროებიდან გამომდინარე, დასაქმდება არაუმეტეს 2 ადამიანი, ხოლო წყალმომარაგება და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვა გზშ-ის სქემით ხორციელდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე დეტალურად იქნა შესწავლილი. ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ინსინერატორის წარმადობის გაზრდას, ასევე ინსინერაციის საწარმოში გაფრქვევის დამატებითი წყაროს მოწყობას არ უკავშირდება, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე დეტალურად იქნა შესწავლილი, ხოლო ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილება ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ცვლილებას არ უკავშირდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებას, რომელიც სააგენტოსთან შეთანხმდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გათვალისწინებულია არსებული ობიექტის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით კუმულაციური ზემოქმედების გაზრდას ადგილი არ ექნება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს**.
2. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 13 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-426) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს:

ა) განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაცია უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით;

ბ) განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო მონიტორინგი უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით.

4. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 13 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-426) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო


QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE